86
979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

28

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4

ივლისი—აგვისტო

1979 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76303

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 ივლისი—აგვისტო 1979 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

55. გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ფსიქოლოგის დ. ნ. უზნაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

56. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების ყოველწლიურად მინიჭების შესახებ.

57. „ბავშვობიდან ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მაისის № 469 დადგენილების თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

58. საუკეთესო დამხმარე მეურნეობის მოწყობისათვის არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

60. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულების შესახებ.

61. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოს დებულებების დამტკიცების შესახებ.

62. მწერალ მარიჯანის (მარიამ მარკოზის ასული ალექსიძის) ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

63. „ლიტერატურების ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 400 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

65. „სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა დამატებითი გაფართოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 696 დადგენილების ცნობად და სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე.

66. კაკლისა და თხილის ახალი შესასყიდი და საცალო ფასების დაწესების შესახებ.

67. საქართველოს სსრ მინისტრთა საბოჭს 1979 წლის 22 მაისის № 350 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

68. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 633 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილების მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

69. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 4 ნოემბრის № 1020 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 ოქტომბრის № 650 დადგენილებით, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის ინსტრუქციის დამატების შესახებ.

71. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.

72 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 ივნისის № 591 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 ოქტომბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

55 გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ფსიქოლოგის დ. ნ. უზნაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფსიქოლოგის დ. ნ. უზნაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოეწყოს ბინაში, სადაც ცხოვრობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დ. ნ. უზნაძე (ქ. თბილისი, კამოს ქუჩა № 91), დ. ნ. უზნაძის სახლ-მუზეუმი.

ამასთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაასახლოს 1979 წლის ბოლომდე აღნიშნულ ბინაში ამჟამად მცხოვრები პირები.

დ. ნ. უზნაძის სახლ-მუზეუმის ორგანიზაცია და მოვლა-პატრონობა დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დადგან უნივერსიტეტის ეზოში დ. ნ. უზნაძის ბიუსტი.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიაკუთვნოს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დ. ნ. უზნაძის სახელი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. კოლბინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 10 ივლისი, № 511.

56 საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების ყოველწლიურად მინიჭების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების ყოველწლიურად მინიჭება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 23 დეკემბრის № 885 დადგენილებით დამტკიცებული პრემიებისათვის ნობის შეუცვლელად.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 11 იანვრის № 62 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ (ამხ. ანანიაშვილი) გამოუყოს ყოველწლიურად საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს 17,5 ათასი მანეთი საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატთა პრემირებისათვის, აგრეთვე საჭირო სახსრები საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილი ნამუშევრების განხილვის პროცესში კომიტეტის მიერ მიწვეულ რეცენზენტთა და ექსპერტთა შრომის ასანაზღაურებლად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. კოლგინი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 10 ივლისი, № 512.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979
წლის 10 ივლისის № 512 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია დებულებაში საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო პრემიების შესახებ

1. მე-2 პუნქტში სიტყვები „ორ წელიწადში ერთხელ (კენტ წლებში)“ შეიცვალოს სიტყვით „ყოველწლიურად“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

2. მე-6 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები „პრემიების მინიჭების წლის წინა წლის“ შეიცვალოს სიტყვით „ყოველწლიურად“.

ამავე პუნქტის მესამე აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვები „პრემიების მინიჭების წლის“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.

3. მე-7 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვებს „მიიღებს ყველა წარდგენილ ნამუშევარს“ დაემატოს სიტყვები „მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოღებულ იქნეს ამ აბზაციდან სიტყვები „პრემიების მინიჭების წლის წინა წლის“.

ამავე პუნქტის მეორე აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პრემიების მინიჭების წლის წინა წლის“.

---

57 „ბავშვობიდან ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მაისის № 479 დადგენილების თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 მაისის № 469 დადგენილება „ბავშვობიდან ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის თანახმად სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ბავშვობიდან ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

1. 1980 წლის 1 იანვრიდან უდიდდებათ 16 წელს მიღწეულ ბავშვობიდან ინვალიდებს დახმარების ოდენობა: ინვალიდობის I ჯგუფში — 16-დან 30 მანეთამდე და ინვალიდობის II ჯგუფში — 16-დან 25 მანეთამდე თვეში.

ამავე დროს შემოღებულ იქნება დახმარება თვეში 20 მანეთის ოდენობით ბავშვობიდან ინვალიდ ბავშვთათვის 16 წლის ასაკამდე.

აღნიშნული დახმარება გაიცემა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

2. დაწესდა, რომ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ყოველთვიურ დახმარებას დანიშნავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიები.

3. დაევალა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაამტკიცოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით იმ სამედიცინო ჩვენებების ნუსხა, რომლებიც იძლევა 16 წლამდე ასაკის ბავშვთათვის დახმარების მიღების უფლებას აღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

4. დაევალა სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაამტკიცოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ინსტრუქცია აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ბავშვობიდან ინვალიდთათვის ყოველთვიური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალა 1980 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ნოემბრის № 1025 დადგენილება „ბავშვობიდან ინვალიდთათვის ყოველთვიური დახმარების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1967 წ. № 29, მუხ. 202).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 7 აგვისტო, № 565.

58 საუკეთესო დამხმარე მეურნეობის მოწყობისათვის არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

ანიჭებენ რა უაღრესად დიდ მნიშვნელობას საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დამხმარე სასოფლო მეურნეობების შექმნას და არსებული მეურნეობების პროდუქტიულობის გაზრდას, მათში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირებას და ამ ამოცანის გადასაწყვეტად საწარმოებისა და ორგანიზაციების მიზიდვას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 30 საპატიო დიპლომი თითოეული 500 მანეთი ფულადი პრემიით იმ არასასოფლოსამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა დასაჯილდოებლად, რომელნიც სანიმუშოდ მოაწყობენ დამხმარე მეურნეობებს, უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო დიპლომით დაჯილდოების თანდართული დებულება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო დიპლომებით დაჯილდოება მოეწყოს ყოველწლიურად სამინისტროების, უწყებებისა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების წარდგენით.

სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში ფულადი პრემიები გაიცეს სოციალურ-კულტურულ

ღონისძიებებზე გათვალისწინებული ფონდებიდან, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციებში — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტის დამატებით მიღებული შემოსავლიდან.

4. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებსა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს დაჯილდოების მასალები თანდართული ფორმის მიხედვით წარუდგინონ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს ყოველი წლის 15 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 15 აგვისტო. № 556.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1979 წლის 15 აგ-
ვისტოს № 556 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საუკეთესო დამხმარე მეურნეობის მოწყობისათვის არასასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საპატიო დიპლომით დაჯილდოების შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომით საუკეთესო დამხმარე მეურნეობის მოწყობისათვის ჯილდოვდებიან ის სამრეწველო საწარმოები, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შრომითი კოლექტივები, რომელთაც ბალანსზე აქვთ დამხმარე მეურნეობები, მიაღწევენ ყველაზე უკეთეს შედეგებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებაში შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

შეასრულებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს ძირითად სახეობათა და ხარისხის მიხედვით.

წინა წელთან შედარებით გაზრდიან პროდუქციის წარმოების დონეს მთლიანად წარმოებასა და დამხმარე მეურნეობაში დასაქმებული მუშაკების რიცხოვნობის გაუდიდებლად.

გაზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობას;

შეასრულებენ პირუტყვის სულადობის გეგმას;

გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას;

შეამცირებენ დანახარჯებს პროდუქციის წარმოებისათვის, აამაღლებენ რენტაბელობის დონეს;

უზრუნველყოფენ მეურნეობას საკვებით, მათ შორის საკუთარი წარმოების საკვებით, გამოიყენებენ კვების ნარჩენებს;

უზრუნველყოფენ მეურნეობას ხარისხიანი თესლით, სარგავი მასალით, ჯიშიანი პირუტყვით, ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით;

მეცხოველეობასა და მემცენარეობაში დანერგავენ მექანიზაციას და მოწინავე ტექნოლოგიურ პროცესებს;

იზრუნებენ დამხმარე მეურნეობის მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, დაიცავენ ტექნიკური უსაფრთხოების წესებსა და შრომის დისციპლინას.

2. მასალები დიპლომებით არასასოფლოსამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად თანდართული ფორმის მიხედვით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში უნდა წარადგინონ შესაბამისი დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა ყოველწლიურად 15 თებერვლამდე.

მუზ. 58
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობა

დამხმარე მეურნეობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ

. . . . . .

(დამხმარე მეურნეობის დასახელება)

რესპუბლიკა . . . . . .

ოლქი . . . . . .

რაიონი . . . . . .

გვარი, სახელი, მამის სახელი . . . . . .

მეურნეობის ხელმძღვანელის . . . . . .

პარტორგანიზაციის მდივნის . . . . . .

პროფკომიტეტის თავმჯდომარის . . . . . .

მეურნეობის ძირითადი მიმართულება (სპეციალიზაცია) . . . . . .

. . . . . .

მიწის საერთო ფართობი (ჰა) . . . . . .

აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ჰა) . . . . . .

აქედან სახნავი (ჰა) . . . . . .

საობური მთლიანად (კვ. მეტრი) . . . . . .

მეურნეობაში მომუშავეთა საერთო წლიური რიცხვი . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმებისა და ვალდებულებების შესრულება

(ტონობით)

პროდუქციის დასახელება	19 წ.			
	გეგმა	ვალდებულება	ფაქტიური შესრულება	%
მარცვლეული				
კარტოფილი				
ბოსტნეული სულ				
აქედან სათბურებში				
ბაღჩეული				
ხილი				
ხორცი სულ (ცოცხალი წონა)				
აქედან:				
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი				
ღორი				
ფრინველი				
კურდღელი				
რძე				
თევზი				
თაფლი				
კვერცხი (ათასი ცალი)				

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მოხმარდა საზოგადოებრივ კვებას, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სხვა (გარდა სახელმწიფოსათვის ჩაბარებისა)

(ტონობით)

	19 წ.				
	გეგმა	ფაქტიური შესრულება	ხვედრითი წილი	წონა	%
მარცვლეული					
კარტოფილი					
ბოსტნეული სულ					
აქედან სათბურებში					
ხორცი სულ (ცოცხალი წონა)					
აქედან:					
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი					
ღორი					
კურდღელი					
ფრინველი					
რძე					
თევზი					
თაფლი					
კვერცხი (ათასი ცალი)					

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

მაჩვენებლების დასახელება	19 წ.		
	გეგმა	ფაქტიური შესრულება	%
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 1973 წლის დამზადების ფასებში (ათას მან.)			
აქედან			
მოხმარდა საზოგადოებრივ კვებას (გარდა სახელმწიფოსათვის ჩაბარებისა)			
დამხმარე მეურნეობაში მომუშავე ერთ მუშაკზე წარმოებული პროდუქცია (მან.)			
რენტაბელობის მთლიანი დონე (პროცენტი)			

IV. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე (ცენტნერი)

კულტურების დასახელება	19 წ.			
	გეგმა	ვალდებულება	ფაქტიური შესრულება	%
მარცვლეული და პარკოსანი				
კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი				
ბოსტნეული გრუნტში				
ბოსტნეული სათბურში				
(კგ. 1 კვ. მეტრზე)				
ხილი და კენკრა				

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა

მაჩვენებლები	19 წ.			
	გეგმა	ვალდებულება	ფაქტიური შესრულება	%
ერთი ძროხის საშუალო წველადობა (კილოგრამი)				
სუქებაზე დაყენებული პირუტყვის საშუალო სადღეღამისო მატება (გრამი)				
აქედან:				
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (გრამი)				
ღ ო რ ი ს (გრამი)				

საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი

პარტორგანიზაციის მდივანი

პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისა და ცალკეული უწყებების იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიაში, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, და ამოღებულ იქნეს აღნიშნული სიიდან ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომელიც 88-ე პუნქტში შეიცვალოს ქალაქ გაგრის ზონის გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 6 ივლისი, № 470.

60 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 მარტის № 180 დადგენილება ამ საკითხზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 6 ივლისი, № 476.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 6 ივლისის № 476 დადგენილებით

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულება

I. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

II. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის დანიშნულებაა ხელმძღვანელობა გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მიზნით, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი.

ამ მიზნით კომისია სისტემატურად აღრიცხავს, შეისწავლის და აწესრიგებს სადავო საკითხებს მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-სტილისტიკის დარგში, განსაზღვრავს საჭირო შემთხვევაში დასაშვებ პარალელურ ფორმებს (ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებით), წყვეტს ზოგიერთი მეტად რთული ტერმინის საკითხს;

საერთო ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის, სინონიმთა ლექსიკონების, დამხმარე საშუალებათა დამუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასა და დახვეწას;

კონტროლს უწევს დადგენილი ნორმების დანერგვას სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებში, რედაქცია-გამომცემლობებში.

III. ზემოხსენებული მიზნით კომისია შეიმუშავებს სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის ძირითად პრინციპებს, სისტემატურად შეისწავლის ბეჭდვითს პროდუქციას (სახელმძღვანელოები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები), გამოავლენს მოსაწესრიგებელ საკითხებს მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის დარგში, განიხილავს სათანადო საკითხებს და გამოიტანს სავალდებულო დადგენილებებს.

დადგენილებები სათანადო დასაბუთებით ქვეყნდება თანდათანობით.

IV. კომისიაში განსახილველ საკითხებს შეისწავლის და ნორმათა პროექტებს ამზადებს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეშვეობით.

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ მომზადებულ საკითხს წინასწარ განიხილავს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და მოხსენება სათანადო დადგენილების პროექტითურთ წარედგინება კომისიას საბოლოოდ განსახილველად და დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სალიტერატურო ენის ნორმათა კომისიის სხდომები, როგორც წესი, იმართება კვარტალში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა დამატებითი სხდომებიც. კომისიის სხდომა კანონიერია, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი. საკითხები წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

კომისიის წევრი, თუ ის არ ეთანხმება მიღებულ დადგენილებას, მორიგი სხდომის მოწვევამდე სათანადოდ დასაბუთებულ განსაკუთრებულ აზრს წერილობით წარუდგენს კომისიის მდივანს ოქმში შესატანად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცალკეული ტერმინების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად კომისიის სხდომებზე საჭიროებისდა მიხედვით მოწვეული იქნებიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლებით.

---

61 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოს თანდართული დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 13 ივლისი, № 484.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76363

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 13 ივლისის № 484
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოს შესახებ

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველო (ტრესტის უფლებით) შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 17 ოქტომბრის № 1341 განკარგულებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1978 წლის 13 ივლისის № 392 გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. საგზაო მეურნეობის სამმართველო ექვემდებარება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, იღებს მათგან საგეგმო დავალებებს და აძლევს მათ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს. ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას აწარმოებს ცენტრალიზებულად. რესპუბლიკის მთავრობის სათანადო გადაწყვეტილების შესაბამისად მუშაობს სამმართველოს აპარატის ჩათვლით დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემით.

3. საგზაო მეურნეობის სამმართველო არის ერთიანი სამშენებლო-სარემონტო საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საგზაო მშენებლობის, შეკეთების, ექსპლუატაციისა და მასთან დაკავშირებულ სამრეწველო-საწარმოო ორგანიზაციებს.

4. თავის საქმიანობაში სამმართველო ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე ამ დებულებით.

5. საგზაო მეურნეობის სამმართველო ხელმძღვანელობას უწევს მასში შემავალ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებანი და მოვალეობანი, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ანგარიში სახელმწიფო ბანკის შესაბამის კანტორაში, დადგენილი ნიმუშის გერბიანი ბეჭედი და შტამპი.

II. საგზაო მეურნეობის სამმართველოს ამოცანები

6. საგზაო მეურნეობის სამმართველო თბილისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად გეგმავს შეკეთებათა წლიურ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულობებს, ადგენს რიგითობას და საგზაო-საექსპლუატაციო უბნების მეშვეობით ახორციელებს რაიონის ტერიტორიაზე გამავალი რაიონული მაგისტრალური და ადგილობრივი მნიშვნელობის ქუჩების, შიდაკვარტალური გზების, გზებზე განლაგებულ ნაგებობათა (მიწისქვეშა გადასასვლელები, მოსაცდელი პავილიონები, საყრდენი კედლები, შადრევნები, სკვერები და პარკები) მიმდინარე შეკეთებას, ასევე გამონაკლის შემთხვევებში მცირე მოცულობით ცალკეული ქუჩების და აღნიშნულ ხელოვნურ ნაგებობათა კაპიტალურ შეკეთებას. ასეთ შემთხვევებში დამკვეთის ფუნქციებს ახორციელებენ რაიონული საბჭოების აღმასკომების შესაბამისი განყოფილებები და სამმართველოები, რომლებიც უზრუნველყოფენ რაიონის ტერიტორიაზე აღნიშნული ქუჩებისა და ხელოვნურ ნეგებობათა სათანადო მდგომარეობაში ყოფნას.

რაიონის საგზაო-საექსპლუატაციო უბნები ასევე ასრულებენ რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული სატრანსპორტო, სამშენებლო, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო-კომუნალურ და სხვა მეურნეობათა ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის მიზნით სხვადასხვა შეკეთებით სამუშაოებს დაფინანსების ყველა წყაროთი, საგზაო მეურნეობის სამმართველოსთან დადებული პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში დამკვეთის ფუნქციებს ახორციელებენ შესაბამის საწარმოთა ადმინისტრაციები.

საგზაო მეურნეობის სამმართველო ქალაქის ჩქაროსნული, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის მაგისტრალური და მათზე განლაგებულ ხელოვნურ ნაგებობათა (ხიდები, ესტაკადები, სანაპირო და ქუჩების განლაგების ზოლში საყრდენი კედლები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებებზე მოსაცდელი პავილიონები, ავტოსადგომები, მოედნებზე განლაგებული შადრევნები) მშენებლობა-რეკონსტრუქციის, კაპიტალური, საშუალო და, საჭიროების შემთხვევაში, ნაწილობრივი მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს ასრულებს მისდამი დაქვემდებარებული საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოების ძალებით. ასეთ შემთხვევაში მიმდინარე, საშუალო და კაპიტალურ შეკეთებასა და საკუთარ მშენებლობაზე დამკვეთის ფუნქციებს ახორციელებს საგზაო მეურნეობის სამმართველო, ხოლო მშენებლობა-რეკონსტრუქციის სამუშაოებზე — საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამისი სამმართველოები და საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობის დირექცია.

საგზაო მეურნეობის სამმართველო რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად პასუხს აგებს ქალაქის გზებისა და ქუჩების მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური შეკეთებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების **დანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის. ცალკეულ, გამონაკლის** შემთხვევაში, თუ ეს მიზანშეწონილია, ნაწილი სახსრებისა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სტიქიურ-საავარიო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე.

მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკისრება დამკვეთის ფუნქციები გზების მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური შეკეთებისას, საგზაო მეურნეობის სამმართველო უზრუნველყოფს მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს საშენი მასალებით, ხელფასის ფონდითა და ყველა საჭირო მოწყობილობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ზემოჩამოთვლილ ამოცანათა შესასრულებლად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველო:

ა) განახორციელებს ადმინისტრაციულ, სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული სამშენებლო-სარემონტო სამმართველოებისადმი, სამრეწველო საწარმოებისა და ქ. თბილისის რაიონების ორმაგ დაქვემდებარებაში მყოფი საგზაო-საექსპლუატაციო უბნებისადმი;

ბ) შეიმუშავებს და წარადგენს აღმასკომის სხდომაზე დასამტკიცებლად დაქვემდებარებულ საწარმოთა განვითარება-გაფართოების წლიურ და კვარტალურ გეგმებს, დაგეგმავს დაქვემდებარებული ორგანიზაციების წლიურ და პერსპექტიულ სამუშაოებს, შეამოწმებს ოპერატიულ, სტატისტიკურ და საინვენტარიზაციო ანგარიშების სისწორეს;

გ) განიხილავს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომაზე და დაამტკიცებს დადგენილი წესის შესაბამისად იმ გზებისა და საგზაო ხელოვნურ ნაგებობათა მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური შეკეთების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 50 ათას მანეთს, დაამტკიცებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა საწარმოო ბაზების კაპიტალური შეკეთების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

დ) შეადგენს ცალკეული სამრეწველო პროდუქციის ღირებულების კალკულაციებსა და მასალების, საწვავის, სათადარიგო ნაწილების ხარჯვის ნორმებს, შეიმუშავებს იმ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის დროებით ფასებს, რომლებზედაც არ არის სახელმწიფო ან შესაბამისი დარგობრივი უწყებების მიერ დამტკიცებული ფასები, და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტს.

ე) დაამტკიცებს ახალი ტექნიკის დანერგვის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს და ახალი პროდუქციის ათვისების კალკულაციებს;

ვ) შეიმუშავებს და დანერგავს ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, მანქანა-მექანიზმთა ეფექტიან გამოყენებას. უზრუნველყოფს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს ყველა საჭირო მასალით, სათადარიგო ნაწილებით, მოწყობილობითა და წარმოების ყველა საშუალებით, აითვისებს და გაანაწილებს მეურნეობათა შორის საშენ მასალებზე გამოყოფილ ფონდებს, გაანაწილებს საჭიროებისამებრ მეურნეობათა შორის საკუთარ საწარმოთა ძალებით დამზადებულ ინერტულ მასალებს, ქვისა და ბეტონის ნაკეთობებს, ასფალტ-ბეტონის ნარევს;

ზ) განახორციელებს ხელმძღვანელობას და კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი, აწარმოებს დოკუმენტურ შემოწმებას, განიხილავს და დაამტკიცებს ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს კრებსით ბალანსებს და ჩააბარებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) განახორციელებს ხელმძღვანელი კადრების შერჩევას, შეადგენს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმებს;

ი) უზრუნველყოფს დაგეგმვისა და მართვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მართვაში ეკონომიკური მეთოდების დანერგვას, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესებას, შრომის ყველაზე ხელსაყრელი და უსაფრთხო პირობების შექმნას;

კ) უზრუნველყოფს სოცშეჯიბრების ყოველმხრივ განვითარებას და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას.

III. საგზაო მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობა

8. სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი. სამმართველოს უფროსი მოქმედებს ერთმმართველობის საფუძველზე. საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მას მოვალეობის შემსრულებლად ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით და ამტკიცებს სესიაზე. სამმართველოს მთავარ ინჟინერს, მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნომენკლატურის მიხედვით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ქ. თბილისის რაიონების საგზაო-საექსპლუატაციო უბნების უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ რაიონული საბჭოების აღმასკომები საგზაო მეურნეობის სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

9. სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

ა) მიიღოს და გასცეს ასანაზღაურებლად ფულადი ვალდებულება, აწარმოოს ყველა ფულადი ოპერაცია, მათ შორის საკრედიტო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნა-დახურვა;

ბ) გადაწყვიტოს დავა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის კანონმდებლობის ფარგლებში;

გ) მიიღოს მონაწილეობა ან მისცეს რწმუნება თანამშრომლებს მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ საწარმოებსა და არბიტრაჟში, სამმართველოსა და სხვა დაწესებულებებში საკითხების გადაწყვეტის დროს;

დ) გასცეს მინდობილობანი და გააფორმოს ხელშეკრულებანი საჭირო ღონისძიებებზე;

ე) დაამტკიცოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების წესდებანი და დებულებანი.

10. ყველა ფულადი, მატერიალური (ქონება-ფასეულობის) და საანგარიშო-საკრედიტო ხასიათის საბუთები, რომლებიც ექვემდებარება საბუღალტრო ჩანაწერებს, ხელმოწერილი უნდა იყოს სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილეებისა და მთავარი ბუღალტრის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. სამმართველოს უფროსის მოადგილეთა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა კომპეტენციას განსაზღვრავს სამმართველოს უფროსი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.

სამმართველოს მთავარი ინჟინერი და უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ მინდობილობის გარეშე, იცავენ სამმართველოს ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

12. საგზაო მეურნეობის სამმართველოსი და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების შესანახ მთლიან ხარჯთაღრიცხვას, მათ შორის საგზაო მეურნეობის სამმართველოს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ხოლო საჭირო შემთხვევაში შეაქვს მათში სათანადო ცვლილებანი.

13. სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საშტატო განრიგებსა და ხარჯთაღრიცხვებს ამტკიცებს სამმართველოს უფროსი თანამდებობრივი განაკვეთების სქემების თანახმად საშუალო ხელფასის ფონდის ფარგლებში.

14. სამმართველოს მიერ ცალკე საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზაციის შემთხვევაში სამმართველოს მუშაკთა რიცხოვნობას, ხელფასის ფონდს და სამმართველოს მიერ ამ ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების საერთო ოდენობას განსაზღვრავს სამმართველოს უფროსი საწარმოებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სამმართველო აპარატის შენახვისათვის გამოყოფილ ასიგნებათა საერთო თანხისა და მთლიანად სამმართველოს ხელფასის ფონდის ფარგლებში და ამტკიცებს საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

IV. საგზაო მეურნეობის სამმართველოს ქონება

15. საგზაო მეურნეობის სამმართველოს ქონებას შეადგენს სამმართველოსადმი დაქვემდებარებული და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი და საბრუნავი საშუალებანი, ქალაქის ჩქაროსნული და საქალაქო მნიშვნელობის მაგისტრალური გზები და გზებზე გაშენებული ხელოვნური ნაგებობანი (ხიდები, ესტაკადები, მიწისქვეშა გადასასვლელები, გვირაბები) და მისთვის მიჩენილი სხვა ქონება. სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსებში, ხოლო სამმართველოსათვის მიჩენილი ქონება — სამმართველოს ბალანსში. აღნიშნული ბალანსები შევა კრებსით ბალანსში.

სამმართველოში იქმნება შემდეგი ფონდები და რეზერვები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდი;

— მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი;

— სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი;

— მეცნიერული კვლევის ფონდი;

— ქალაქის ბიუჯეტიდან გზებისა და მათზე განლაგებულ ხელოვნურ ნაგებობათა კაპიტალური შეკეთებისა და საწარმოო ოპერაციული ხარჯებისათვის საჭირო სახსრები;

— ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდი;

— ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი;

— გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდი;

— კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვი;

— საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად განკუთვნილი რეზერვი.

16. სამმართველოს უფლება აქვს:

ა) გადაანაწილოს სახსრები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გადანაწილდეს სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო გეგმების მიხედვით.

ბ) ამოიღოს საქვეუწყებო ორგანიზაციებისაგან ზედმეტი (ზენორმატიული) საბრუნავი სახსრები ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა წლიური ანგარიშის მიხედვით მათი გადანაწილების წესით ან მათი საწარმოო გეგმების შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლისას;

გ) გადაანაწილოს დადგენილი წესით სამმართველოს შიგნით ზედმეტი და საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოუყენებელი მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სათბობი და სხვა მატერიალური რესურსები არაუგვიანეს ერთი თვისა მას შემდეგ, რაც საწარმო, ორგანიზაცია გაუგზავნის შეტყობინებას ზედმეტობის არსებობის შესახებ;

დ) ნება დართოს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესის შესაბამისად გადასცენ სხვა სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ზედმეტი და გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება.

17. სამმართველო თავის ვალდებულებათა მიხედვით პასუხს აგებს მისთვის მიჩენილი ქონებისათვის, დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთ ვალდებულებათა მიხედვით პასუხს აგებენ მათთვის მიჩენილი ქონებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სამმართველოს უფლება-მოვალეობანი

18. სამმართველოს საწარმოო-სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობენ სამმართველოს უფროსი, მისი მოადგილეები და სამმართველოს სხვა თანამდებობის პირები ფუნქციების განაწილების შესაბამისად.

19. სახალხო მეურნეობის პერსპექტიული განვითარების გეგმის შესაბამისად საგზაო მეურნეობის სამმართველო ამუშავებს პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს დასამტკიცებლად. დაწესებულ საგეგმო დავალებათა საფუძველზე სამმართველო უმტკიცებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წლიური გეგმების დავალებებს მაჩვენებლების დაწესებული სისტემის ფარგლებში.

20. სამმართველო უფლებამოსილია დაუდოს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხელშეკრულებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სამუშაოთა კომპლექსური განხორციელებისა და მეცნიერული კვლევის თაობაზე.

21. სამმართველო, მომარაგება-გასაღების მოქმედი სისტემის გათვალისწინებით, ახორციელებს საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, ანაწილებს საქვეუწყებო ორგანიზაციათა შორის მეურნეობისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების ფონდებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, გადაანაწილებს ამ ფონდებს საწარმოო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით.

22. წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდის სახსრების ხარჯზე ახორციელებს საწარმოო დანიშნულების მოქმედი ობიექტების გაფართოებას (რეკონსტრუქციას), ამტკიცებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასა და სატიტულო სიებს და ხელახლა ამტკიცებს სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშებისას.

23. სამმართველოს უფლება აქვს ცენტრალიზებულად შეასრულოს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური მშენებლობის დამკვეთის ფუნქციები.

24. სამმართველო უზრუნველყოფს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ანაზღაურებისა და პრემირების მოქმედი პირობების სწორ გამოყენებას, ახორციელებს კონტროლს ხელფასის ფონდის, მატერიალური წახალისების ფონდისა და სხვა წამახალისებელი ფონდების სწორად ხარჯვისადმი.

25. სამმართველო მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს უმტკიცებს სამმართველო აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მთლიანად სამმართველოსათვის ამ მიზნით დაწესებულ ასიგნებათა ფარგლებში.

26. სამმართველო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დადგენილი წესით ახორციელებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას; წარუდგენს ანგარიშგებას შესაბამის ორგანოებს დაწესებულ ვადებში. კონტროლს უწევს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას, უზრუნველყოფს მის უტყუარობას, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი დოკუმენტაციისა და პირველადი აღრიცხვის შემდგომი სრულყოფისათვის, საანგარიშო გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის.

27. სამმართველო საბალანსო კომისიაზე განიხილავს და ამტკიცებს მისდამი დაქვემდებარებულ და მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს.

28. სამმართველო ამოწმებს და რეგულარულად აწყობს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს, უზრუნველყოფს მათი სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცულობას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას.

---

62 მწერალ მარიჯანის (მარიამ მარკოზის ასული ალექსიძის) ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

მწერალ მარიჯანის (მარიამ მარკოზის ასულ ალექსიძის) ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცეს მარიჯანის რჩეული ნაწარმოებები.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიაკუთვნოს მარიჯანის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, ააგოს ბიუსტი მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავზე და გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა მწერალი (ჯაფარიძის ქუჩა, № 10).

3. მიეკუთვნოს მარიჯანის სახელი დაბა წაღვრის საშუალო სკოლას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 19 ივლისი, № 501.

63 „ლიტერატურის ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 5 მარტის № 152 დადგენილების შესაბამისად შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებანი:

ა) I განაყოფის „ა" ქვეგანაყოფი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლიტერატურის სახეობა	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
ჩვეულებრივი გამოცემანი			
1. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის), აგრეთვე მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, ნარკვევები და მემუარები, პიესები, კინოსცენარები	10	175, 200, 250, 300, 350, 400	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის სახეობა	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
2. მხატვრული მოთხრობა ან ნარკვევი მოცულობით ერთ საავტორო თაბახამდე	—	—	165, 225, 270, 330, 400
3. ერთაქტიანი პიესა	—	—	220—600
4. ლიტერატურული მინიატურა	—	—	40, 60, 80, 100
5. ხალხური შემოქმედების პროზაული ნაწარმოების ჩაწერა და დამუშავება	10	115, 130, 175, 185, 200	—
6. პოეზია, მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები (სტრიქონში)	7	1, 1,25, 1,5 1,75, 2	—
7. ლექსი 30 სტრიქონამდე და სასიმღერო ლექსის ტექსტი, მიუხედავად მოცულობისა	—	—	40, 70, 100, 165, 200
8. ეპიგრამა, ლექსის ტექსტი პლაკატისათვის	—	—	11—16
9. ხალხური შემოქმედების პოეტური ნაწარმოების ჩაწერა და დამუშავება (სტრიქონში)	—	0,7, 0,85, 1,1, 1,2, 1,4	—
10. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის (პროზად—1 საავტორო თაბახამდე, ლექსად — 100 სტრიქონამდე)	25	—	175, 215, 270, 330, 400
11. ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და დამუშავება ბავშვებისათვის:			
ა) 1 საავტორო თაბახამდე	20	—	85, 115, 135,160, 200
ბ) 1 საავტორო თაბახზე მეტი	15	85, 115, 135, 160, 200	—
12. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის	25	165, 220, 275, 300	—
13. ლიტერატურულ-კრიტიკული რეცენზია (0,5 საავტორო თაბახამდე)	—	—	115, 140, 165, 185, 200
14. ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურათმცოდნეობის,, ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები, აგრეთვე წინასიტყვაობანი, ბოლოსიტყვაობანი, შესავალი სტატიები ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებისათვის	10	165, 220, 275, 330, 400	—
15. ორიგინალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, ანოტაცია, მოვლენათა კალენდარი, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატიანე და ბიბლიოგრაფიული საძიებელი წიგნში	—	130—200	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურის სახეობა	ტირაჟი (ათასი ცალი)	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40 ათასი ნაბეჭდი ნიშანი) და ლექსის სტრიქონში	ჰონორარის განაკვეთი მანეთობით მთელი ნაწარმოებისათვის (აკორდულად)
მასობრივი გამოცემანი			
16. მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის), აგრეთვე მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, პიესები კინოსცენები, ნარკვევები და მემუარები	21—50	300, 350, 400	—
17. ხალხური შემოქმედების პროზაული ნაწარმოების ჩაწერა და დამუშავება	21—50	165—200	—
18. პოეზია, მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები (სტრიქონში)	8—25	1,5 1,75,2	—
19. ხალხური შემოქმედების პოეტური ნაწარმოების ჩაწერა და დამუშავება (სტრიქონში)	8—25	1,1, 1,4	—
20. ლიტერატურის ნაწარმოებთა შინაარსის გადმოცემა და დამუშავება ბავშვებისათვის:			
ა) 1 საავტორო თაბახამდე	21—50	—	110, 160, 200
ბ) 1 საავტორო თაბახზე მეტი	21—50	115, 160, 200	—
21. ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები	21—30	265, 340, 400	—
22. ნაწარმოებნი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის (პროზად — 1 საავტორო თაბახამდე, ლექსად — 100 სტრიქონამდე)	50	—	220, 220, 400
23. მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა ბავშვებისათვის	21—50	220, 275, 300	—
24. ნაწარმოებნი სკოლამდელ დაუმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის			
ა) პროზა	21—50	200, 350, 400	—
ბ) პოეზია (სტრიქონში)	22—50	1,5, 1,75, 2	—
25. „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიის წიგნები			
ა) პროზა	21—50	300, 350, 400	—
ბ) პოეზია (სტრიქონში)	21—50	1,5, 1,75, 2	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ჩამოყალიბდეს I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფის 1-ლი შენიშვნა შემდეგ რედაქციით:

„1. მე-2, მე-3, მე-4, მე-7, მე-8, მე-9, მე-13 და მე-15 პუნქტებში აღნიშნული საავტორო ჰონორარის განაკვეთები წესდება ტირაჟის მიუხედავად“;

გ) დაემატოს I განაყოფის „ა“ ქვეგანაყოფს მე-4 შენიშვნა შემდეგი რედაქციით:

“4. ავტორის სიცოცხლეში გამოსულ 1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა პირველი გამოცემისათვის გათვალისწინებული ოდენობით, თხზულებათა კრებულში ან რჩეულ ნაწარმოებებში შეტანილი ნაწარმოებების წინანდელ გამოცემათა რაოდენობის მიუხედავად.

ავტორის სიცოცხლეში გამოსულ 1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა მასობრივი ტირაჟით გამოცემისას საავტორო გასამრჯელო მასობრივი ტირაჟის პირველი ნორმისათვის გაიცემა პირველი მასობრივი გამოცემისათვის დაწესებული ერთი განაკვეთის ოდენობით.

ავტორის მემკვიდრეებს გასამრჯელო 1-3 ტომად თხზულებათა კრებულების ან რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემისათვის მიეცემათ XI განაყოფის პირველი აბზაცით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

1-3 ტომად თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა ტირაჟების ნორმების გადამეტებისა და მათი ხელახლა გამოცემისათვის საავტორო გასამრჯელო გაიცემა II განაყოფის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული ოდენობით; ამასთან ავტორის სიცოცხლეში გამოსულ თხზულებათა კრებულებისა და რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემების რაოდენობა იანგარიშება 1969 წლის 1 იანვრის შემდეგ (თხზულებათა კრებულები) და 1979 წლის 1 იანვრის შემდეგ (რჩეული ნაწარმოებნი) განხორციელებული მათი პირველი გამოცემიდან“;

დ) ჩამოყალიბდეს I განაყოფის „დ“ ქვეგანაყოფის 1-3 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

დ. ნაწარმოებთა თარგმანებისათვის:

ნაწარმოების სახეობა	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40 ათასი ნიშანი)	მთარგმნელის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის მანეთობით.
ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებნი		
1. მხატვრული პროზა (მათ შორის მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურა, ნარკვევები და მემუარები, პიესები, კინოსცენარები, ლიტერატურათმცოდნეობის, კრიტიკული, ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომები):		
ა) ჩვეულებრივი გამოცემა	60, 80, 115, 125, 150,	—
ბ) მასობრივი გამოცემა	115, 130, 150	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოების სახეობა	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მანეთობით საავტორო თაბახში (40 ათასი ნიშანი)	მთარგმნელის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთი მთელი ნაწარმოებისათვის მანეთობით
ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებნი		
2. პოეზია, მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები (სტრიქონში):		
ა) ჩვეულებრივი გამოცემა	0,5, 0,7, 1, 1,2 1,4	—
ბ) მასობრივი გამოცემა	1, 1,2 1,4	—
3. სასიმღერო ლექსის ტექსტი, მოცულობის მიუხედავად		35, 45, 65 85, 100 120

ე) ჩამოყალიბდეს I განაყოფის „დ“ ქვეგანაყოფის მე-5 შენიშვნა შემდეგი რედაქციით:

„5. ბწკარედი თარგმანი ნაზღაურდება ერთხელ, ტირაჟის მიუხედავად, და ხელახალი გამოცემისათვის გასამრჯელოს მიღების უფლების გარეშე:

პოეზია — 6-დან 20 კაპიკამდე სტრიქონში;

მხატვრული პროზა — 11-დან 40 მანეთამდე საავტორო თაბახში;

პოლიტიკური, მეცნიერული, საწარმოო-ტექნიკური, სასწავლო და სხვა ლიტერატურის ნაწარმოები — 10-დან 40 მანეთამდე საავტორო თაბახში“.

2. ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 50 დადგენილებიდან VII განაყოფი.

3. ეს დადგენილება გამოიყენება მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთათვის საავტორო გასამრჯელოს ყველა გადასახდელის მიმართ, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1979 წლის 1 იანვრის შემდეგ.

გადასახდელები, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა 1979 წლის 1 იანვრამდე, გაიცემა წინათ მოქმედი ნორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 ივლისი, № 519.

64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 400 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სოფელთან კავშირგაწყვეტილ პირთა მფლობელობაში არსებული სახლებითა და დამხმარე ნაგებობებით დაკავებული მიწის ფართობების აღრიცხვის მოწესრიგებისა და მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 6 ივნისის № 400 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 მარტის № 103 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწათსარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“;

— 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 8 სექტემბრის № 531 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 17 აგვისტო, № 560.

65 „სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა დამატებითი გაფართოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 696 დადგენილების ცნობად და სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 12 ივლისის № 696 დადგენილებით „სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროებისა და უწყებების უფლებათა დამატებითი გაფართოებისა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ“:

I.

დამატებით უფლება მისცა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს:

1. გადასცენ სსრ კავშირის სხვა სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მიიღონ მათგან საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობანი და საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა მოცულობანი შესაბამისი შრომის ლიმიტებითურთ, ამავე დროს შეატყობინონ ეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

დაამტკიცონ ხუთწლიან გეგმაში შეტანილი 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოების (ნაგებობების) მომავალი წლების საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიები, იმ პირობით თუ დადგენილი წესით დამტკიცებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებანი.

2. ნება დართონ სახარჯთაღრიცხვო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში დააფინანსონ საწარმოთა (ნაგებობათა) მშენებლობა სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებისათვის შესაბამის წელს დამტკიცებული კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის ფარგლებში მოცემული საწარმოს (ნაგებობის) მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვის (კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების) დაზუსტებამდე და დადგენილი წესით ხელახლა დამტკიცებამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

3. ნება დართონ გაწეულ იქნეს მშენებარე საწარმოს (რომლის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტი გამოეყოფა სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებას) დირექციის შენახვის ხარჯები ამ მიზნით მიმდინარე წლისათვის დაწესებულ ასიგნებათა ამოწურვის შემთხვევაში საწარმოს მშენებლობის დამტკიცებული კრებსითი ხარჯთაღრიცხვის (კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების) ფარგლებში.

4. გადასინჯონ და ხელახლა დაამტკიცონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებით საწარმოთა საპროექტო სიმძლავრეები პროექტებით გათვალისწინებული პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლისას, ამასთან შემდგომ შეატყობინონ ეს სსრ კავშირის სტატისტიკურ სამმართველოს.

5. დააფინანსონ საჭირო შემთხვევებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიანი ფონდის სახსრების ხარჯზე სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული წინასაპროექტო ნამუშევრების მიხედვით საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმაში შეუტანელი დანახარჯები სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებისათვის დაწესებული საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის ფარგლებში.

6. შექმნან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით რეზერვი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად მოგების 1-4 პროცენტის ოდენობით.

7. გაუდიდონ საკავშირო დაქვემდებარების იმ საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებების (კომბინატების) ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც მოცემულ წელს ასრულებენ არანაკლებ 120 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, თანამდებობრივი სარგოები 10-15 პროცენტით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სისტემით გათვალისწინებულ სარგოებთან შედარებით.

თანამდებობრივი სარგოები გადიდდეს საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებების (კომბინატების) დაგეგმილი ხელფასის ფონდის ფარგლებში.

8. დაუწესონ თანამდებობრივი სარგოების პერსონალური დანამატების ფონდის ფარგლებში პერსონალური სარგოები თვეში 450 მანეთამდე ოდენობით სსრ კავშირის სამინისტროს, უწყების ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს, მიუხედავად მათი თანამდებობრივი სარგოების ოდენობისა.

9. შეუნარჩუნონ ცალკეულ შემთხვევებში კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სსრ კავშირის სამინისტროს, უწყების სისტემის სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ახალასამოქმედებელ, გასაფართოებელ ან სარეკონსტრუქციო საწარმოებში ანდა საწარმოთა ცალკეულ ობიექტებზე მათი გადაყვანისას საშუალო ხელფასი წარმოების ათვისების ნორმატიული ვადის პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

10. შეუნარჩუნონ სსრ კავშირის სამინისტროს, უწყების სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, რომლებიც იგზავნებიან მოსამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე წარმოებისაგან მოწყვეტით, საშუალო ხელფასი დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

11. შეცვალონ სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მოცულობანი (ფულადი გამოხატულებით), სსრ კავშირის სამინისტროს, უწყებისათვის დაწესებული გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მოცულობის შენარჩუნებით, სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ზრდის გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა შეუმცირებლად. გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მოცულობის შეცვლა 20 პროცენტზე ზევით მოახდინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებით.

თუ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით საჭიროა ცვლილებათა შეტანა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთანგარიშსწორებაში, აღნიშნული მოცულობის შეცვლა შეუძლიათ სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით.

II.

დამატებით გადასცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის შემდეგი საკითხები:

1. ნება დართონ სახარჯთაღრიცხვო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში დააფინანსონ საწარმოთა (ნაგებობათა) მშენებლობა მოკავშირე რესპუბ-

მუხ. 68
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიკისათვის შესაბამის წელს დამტკიცებული კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის ფარგლებში მოცემული საწარმოს (ნაგებობის) მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვის (კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების) დაზუსტებამდე და დადგენილი წესით ხელახლა დამტკიცებამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა.

2. ნება დართონ გაწეულ იქნეს მშენებარე საწარმოს (რომლის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტი გამოეყოფა მოკავშირე რესპუბლიკას) დირექციის შენახვის ხარჯები ამ მიზნით მიმდინარე წლისათვის დაწესებულ ასიგნებათა ამოწურვის შემთხვევაში საწარმოს მშენებლობის დამტკიცებული კრებსითი ხარჯთაღრიცხვის (კრებსითი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშების) ფარგლებში.

3. გადასცენ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მიიღონ მათგან საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობანი და საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა მოცულობანი შესაბამისი შრომის ლიმიტებითურთ, ამავე დროს შეატყობინონ ეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

4. ნება დართონ შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში რეზერვი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად მოგების 1-4 პროცენტის ოდენობით.

5. გაუდიდონ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების იმ საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებების (კომბინატების) ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებიც მოცემულ წელს ასრულებენ არანაკლებ 120 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, თანამდებობრივი სარგოები 10-15 პროცენტით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სისტემით გათვალისწინებულ სარგოებთან შედარებით.

თანამდებობრივი სარგოები გადიდდეს საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანებების (კომბინატების) დაგეგმილი ხელფასის ფონდის ფარგლებში.

6. დაუწესონ თანამდებობრივი სარგოების პერსონალური დანამატების ფონდის ფარგლებში პერსონალური სარგოები თვეში 450 მანეთამდე ოდენობით მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებს, მიუხედავად მათი თანამდებობრივი სარგოების ოდენობისა.

7. შეუნარჩუნონ ცალკეულ შემთხვევებში კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს რესპუბლიკურ სამინისტროთა, უწყებათა სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ახალასამოქმედებელ, გასაფართოებელ ან სარეკონსტრუქციო საწარმოებში ანდა საწარმოთა ცალკეულ ობიექტებზე მათი გადაყვანისას საშუალო ხელფასი წარმოების ათვისების ნორმატიული ვადის პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა.

8. შეუნარჩუნონ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და ორგანიზაციათა მუშებს, რომლებიც იგზავნებიან მოსამზადებელ-კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე წარმოებისაგან მოწყვეტით, საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე სამ თვემდე ვადით, დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში.

9. შეცვალონ სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან შეთანხმებით პროდუქციის წარმოების კვარტალური გეგმები შესაბამის წელს რესპუბლიკისათვის დაწესებულ დავალებათა ფარგლებში სამრეწველო გადამუშავებისათვის განკუთვნილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის კვარტალური გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით.

10. დააწესონ სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან შეთანხმებით და რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში რესპუბლიკაში სარეალიზაციო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საერთო მოცულობა და ასორტიმენტი.

11. დააწესონ სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან შეთანხმებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზეგეგმითი შესყიდვისა და თევზჭერის გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე მიღებული რესურსებიდან პროდუქციის წარმოების გეგმა (რაც განაწილდეს ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

66 კაკლისა და თხილის ახალი შესასყიდი და საცალო ფასების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. კაკლისა და თხილის დამზადების მოცულობის გადიდებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობებისა და მოსახლეობის მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით დამტკიცდეს, მოყოლებული 1979 წლის მოსავლიდან, მათი ახალი შესასყიდი და საცალო ფასები შემდეგი ოდენობით (მანეთობით კილოგრამში):

კაკალი და თხილი	შესასყიდი ფასი	საცალო ფასი
უმაღლესი ხარისხი	2 მანეთი	2 მანეთი და 30 კაპიკი
I ხარისხი	1 მანეთი და 50 კაპიკი	1 მანეთი და 80 კაპიკი
II ხარისხი	1 მანეთი და 20 კაპიკი	1 მანეთი და 50 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მაისის № 348 დადგენილებით დაწესებული თხილისა და კაკლის შესასყიდი და საცალო ფასები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

67 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 350 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონების, სამინისტროებისა და უწყებათა მიხედვით სახერხი დანადგარების დისლოკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 350 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 24 აგვისტო, № 588.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАМТКИЦЕБУЛИА
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 24 აგვისტოს № 588
დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 310 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 31 ივლისის № 1277 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანქციის გარეშე ახალი სახერხი ქარხნების მოწყობის აკრძალვის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილება „მრგვალი ხე-ტყის დახერხვის იმ ხე-ტყის სახერხ საწარმოებში თავმოყრის შესახებ, რომლებსაც ხე-ტყის სახერხი ჩარჩოები აქვთ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 ოქტომბრის № 588 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 9 ივლისის № 388 დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ზოგიერთი აღმასკომის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 ოქტომბრის № 588 დადგენილების შეუსრულებლობის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 იანვრის № 17 დადგენილება „სახალხო დეპუტატთა ზოგიერთი საბჭოს აღმასკომის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

68 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 633 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილების მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 633 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 ივნისის № 633 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 სექტემბრის № 3447 დადგენილება „სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების და ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 სექტემბრის № 1360 დადგენილებით;

— 25-ე და 75-ე პუნქტები „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართისა „საკითხები, რომლებიც გადაცემულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად“, რაც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებით;

— 43-ე პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ნოემბრის № 653 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 660 დადგენილებით დამტკიცებული ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოებასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით;

— მე-9 და მე-10 პუნქტები „საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 ოქტომბრის № 1420 დადგენილების დანართისა (სსრკ დადგ. კრებ., 1957 წ., № 2, მუხ. 12), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ნოემბრის № 671 დადგენილებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 დეკემბრის № 1624 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 16 ოქტომბრის № 1420 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 იანვრის № 12 განკარგულებით;

— 25-ე პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 27 იანვრის № 50 დადგენილებისა „ქიმიის დარგში სამეცნიერო გამოკვლევათა ეფექტიანობის ამაღლების, ქიმიური მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვის დაჩქარებისა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების ლაბორატორიული მოწყობილობითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 129 დადგენილებით, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 24 აგვისტო, № 589

69 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 4 ნოემბრის № 1020 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ხე-ტყის, ხის დამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 18 ივნისის № 580 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 4 ნოემბრის № 1020 დადგენილება „ხე-ტყის დამზადების იმ გეგმის შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულების უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს დაუწესდა 1954 წლისათვის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 24 აგვისტო, № 590.

70 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 ოქტომბრის № 650 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის ინსტრუქციის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება და იმ მიზნით, რომ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს მიეცეთ შეღავათები ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად ყიდვის დროს, შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 ოქტომბრის № 650 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის ინსტრუქციაში შემდეგი დამატებანი:

— მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: „დიდი სამამულო ომის ინვალიდ მყიდველებს მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონელი მიეცემათ თავდაპირველი შესატანის გადაუხდელად, ამასთან მისი ღირებულება უნდა ანაზღაურდეს 18 თვემდე ვადაში თანაბარ ნაწილებად მათი ექვსი თვის ხელფასის (პენსიის) ფარგლებში";

— მე-8 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: „საქონლის ნისიად გაყიდვის დროს დიდი სამამულო ომის ინვალიდ მყიდველებს გადახდებათ სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ მიცემული კრედიტის თანხის 1 პროცენტი, მიუხედავად ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდის ხანგრძლივობისა".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 24 აგვისტო, № 592.

71 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დანართში ჩამოთვლილი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების იმ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეული უწყებების სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან, ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი:

„110. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთამმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 31 აგვისტო, № 606.

72 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 ივნისის № 591 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 ოქტომბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 ივნისის № 591 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 ოქტომბრის № 851 დადგენილებისა „მიწისქვეშა წყლების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებისა და მათი დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ი. ანდრიაძე.**

ქ. თბილისი, 1979წ. 31 აგვისტო, № 607.

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4. 1979 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/I-80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 1134 უე 04302 ტირაჟი 1750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

612/28

ეროვნული
ბიბლიოთეკა